


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბრძოლაში ბეჭდები სიფრთხილით, ფეხით და ჯიბით ბრძოლის გაცანა ყველა უკაცურისადაც უსამართლოა.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 მაისი, 2015 წელი.

№85 (7730)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge **ვებ გვერდი: www.sakresp.ge** **ფასი 50 თეთრი.**

მოგილოცავთ გამარჯვებას, ძვირფასო თანამემამულეო!

ამხანაგ ი.გ.სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულეო! დადგა დიდი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა, წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. შეიძლება მისი ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობისა და საბჭოთა ჯარების, უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე. დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯ-



ვით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელ შეკრულბანი და შეთანხმებანი ფარატირა ქალაქიდან მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს, ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დიდიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატირა ქალაქი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შეძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიდი დროა. სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შე-

ადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ვეღარ შეძლოს წამოდგომა“. ეს იყო სამი წლის წინათ, მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა, — ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც იმის პირ-

დაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას ახდენენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა, იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას. ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულეო! დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება! დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს! სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!

1945 წლის 9 მაისი

ქართველი ქალი — მეომარი, დედა, პედაგოგი

„ფასს დასდებს გოგონა, ვისაც რამ დაგვიტყვის...“

5

ომის ვეტერანებმა კიკვიძის პარკში კვიპაროსები დასდეს

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებს ფაშისტურ გამარჯვების 70-ე წლისთავი მიულოცა და მათთან ერთად ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში კვიპაროსის ნერგები — ენ. სიტყვების სხეულები დასდეს.

დავით ნარმანიას თქმით, მნიშვნელოვანია გამწვანების აქციაში ვეტერანების მონაწილეობა, რადგან თითოეული მათგანი 90 წელზე მეტს არის და საკუთარი აქტიურობით ახალგაზრდებს მისაბამ მაგალითს აძლევს.

დღეისათვის თბილისში მეორე მსოფლიო ომის 573 მონაწილე ცხოვრობს.


ლევან დათუაიშვილი

ბელოდის პორტრეტი

(ამარკორდი)

6


დედაინის ზურგზე



სატვირთო თვითმფრინავი „პროგრესი“ დაიწვია ატმოსფეროში...

„პროგრესი 2015 წლის 8 მაისს ლაშის 5 საათზე ატმოსფეროს მკვირვ ფენებში შესვლა მოხდა...

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის არჩევნებში იმარჯვებულ კონსერვატიული პარტია



სმების დათვლის წინასწარი შედეგები მოქმედი პრემიერ-მინისტრის დევიდ კამერონის პარტიას აძლევს უფრო მეტ ადგილს...

ვაკინტანში ვიპულფორანი უცხოელთა საკონსულტაციო განყოფილება დაიღვება 4 კაცი



ჯგუფი 3 შვეულმფრენით, რომლებშიც იყვნენ დიპლომატები და ჟურნალისტები, ასრულდება ტერიტორიის შემოღრენა...

ბელარუსში გამარჯვების 70 წლის-თავისათვის გამომაცხადეს ამინსტია ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით...



გორის მუზეუმი

იმ იოსებ სტალინის პლოკინების პროსესი ბრძოლა

ბაზაში „San Francisco Chronicle“-ში (აშშ) გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოში, ქალაქ გორში არსებული იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერების შთაბეჭდილებები...

„მსოფლიოს დიდი ნაწილისთვის იოსებ სტალინი დაუნდობელი დიქტატორია, ათობით მილიონი ადამიანის სიკვდილზე პასუხისმგებელი პირი, პოლიტიკური წმენდების, მასშტაბური დაჭერა-დაპატიმრებების, ციმბირში გადასახლებების ინიციატორი... მგრამ ეს ნაკლებად ესება საქართველოს, 5-მილიონიან შავიზღვისპირა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, სადაც იოსებ სტალინი დაიბადა და სადაც სრული სვლით მიმდინარეობს საბჭოთა ბელადის ხსოვნის აღდგენა...



სან-ფრანსისკოში იოსებ სტალინის ძეგლი

აგრეთვე 2008 წლის რუსეთის აგრესიის ამსახველი მასალებიც. მუზეუმის დამთავლიერებებს საშუალება ეძლევათ, ავიდნენ იოსებ სტალინის რკინიგზის ვაგონში, რომლითაც იგი მეორე მსოფლიო ომის დროს დადიოდა, აგრეთვე მოინახულონ აგურითა და ხით აგებული ლარიბული ერთობახიანი სახლი, სადაც იოსებ სტალინი 1879 წელს დაიბადა...

„ვლადიმერ პუტინი რუსეთში იოსებ სტალინის კულტის აღორძინებას ახდენს“, - ამბობს ირაკლი ფორჩხიძე, სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დამფუძნებელი, - მას სურს, რომ მოსახლეობამ ტირანების პატივი სცეს, რომ მოსახლეობას ტირანებისა ემინოდეს...

ალიან-ჩალიანი

„ნენსკრა ჰესის“ სამშენებლო ტენდერში მონაწილე კომპანიები ანაკლიაში შეიქრიზნენ

„საპარტნიორო ფონდის“ ინფორმაციით, ტენდენდენტთა შორის არიან მსოფლიოში ცნობილი იტალიური, კორეული და თურქული კომპანიები. კომპანიების წარმომადგენლები საპარტნიორო ფონდისა და პროექტის ინვესტორ კორეულ კომპანია K Water-თან ერთად სამუშაო შეხვედრაზე ანაკლიაში შეიკრიბნენ...

ები ერთი თვის განმავლობაში წარმოადგენენ შესაბამის წინადადებას, რომლის საფუძველზე K Water-ის საპარტნიორო ფონდთან ერთად გამარჯვებულს დაასახელებს. ტენდერში გამარჯვებული კომპანია კი მშენებლობის სამობილიზაციო სამუშაოებს ივლისში დაიწყებს. საერთაშორისო ტენდერში მონაწილე გიგანტი კომპანიის წარმომადგენლებმა მონახულეს „ნენსკრა ჰესის“ სამშენებლო ტენდერი. ერთი თვის განმავლობაში უკვე გამოცხადდება გამარჯვებული, რაც დადასტურდება ხელშეკრულებით. ივლისის თვეში კი დაიწყება სამშენებლო სამობილიზაციო პროცესი. ტენდერში მონაწილე კომპანიები პირობითად დადგინდებიან და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაში მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

წერილი ბალიდან

ეს გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის მთავრობას ბალის მოსახლეობა ვახსოვართ, ზრუნავს ჩვენზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ ყოლბანიას ბალის რაიონის მოსახლეობისგან

ბალის რაიონის მოსახლეობა თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ. მიუხედავად იმისა, რომ, რაც დრო გადის, რეგიონში თითქოს უმჯობესდება საყოფაცხოვრებო მდგომარეობა, ბალის რაიონის მოსახლეობისათვის ეს, ცნობილი მოვლენების გამო, სრულიად უცვლელია და შეიძლება უარესიც.

მოგესწინებათ, რომ ჩვენი შემოსავლის ერთადერთი წყაროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (კერძო სექტორში), რაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული; ძალზე გვიძნელდება, როგორ მემცენარეობის, ისევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს იმის საშუალება, რომ დროულად დავამუშაოთ მიწა, ან შევიძინოთ მინერალური და ორგანული სასუქები, ასევე მეცხოველეობისათვის საჭირო ინვენტარი და ვეტ-მედიკამენტები, ხოლო ადგილობრივი მთავრობისაგან საერთოდ გამორიცხულია რაიმე აგრო ან ვეტერინარიული ღონისძიებების დახმარების მოლოდინი.

ამის გამო უზგადიდებიან გვიხდება შხამ-ქიმიკატების, ვეტმედიკამენტების და სხვათა შექენა და შემოტანა, რაც დიდ სირთულეებთან და რისკთან არის დაკავშირებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროდუქციის წარმოება ისე ძვირი გვიჯდება, რომ თითქმის გასაყიდი საქონლის ფასის ტოლია, რაც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე აისახება.

ამ წერილის დაწერა გადაგვწყვეტილია ბოლო წლებში თქვენს მიერ ჩვენთვის გაწეულმა დახმარებამ, რაც მოსახლეობისთვის უდავოდ სიკეთეა. თქვენგან მოვლინებული ვეტსპეციალისტები უანგაროდ და კეთილსინდისიერად გვემსახურებიან, უფასოდ გადმოგვცემთ ვეტერინარიული მედიკამენტები და სხვადასხვა სახის პრეპარატები, როგორც მეცხოველეობაში, ისე მეცენარეობის დარგში.

ყოველწლიურად თქვენს სპეციალისტებს შემოაქვთ და საკმაო რაოდენობით გვეძლევა ეგრეთ წოდებული ამერიკული პეპლის სანინალმდეგო საშუალებები. ეს ყველაფერი ხდება უფასოდ და უანგაროდ, რისთვისაც მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს. შედეგად საგრძნობია, გასულ წელს რაიონში არ იყო ამერიკული პეპლის გავრცელების შემთხვევა, ზოგიერთი უმნიშვნელი კერის გარდა.

საგრძნობლად გაიზარდა რაიონში პირუტყვის, ფრინველის და ფუტკრის სკების რაოდენობა, რაც აშკარად თვალში საცემია.

ბოლო წლებში არ დაფიქსირებულა არც ერთი ფაქტი პირუტყვის ინფექციური დაავადებისა, რაც უდავოდ თქვენი ყურადღების ნაყოფია. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის მთავრობას ბალის მოსახლეობა ჯერ კიდევ გახსოვართ და ზრუნავს ჩვენზე. რაც სიკეთესთან ერთად დიდი იმედის მომცემია. მოსახლეობის სახელით გამოვხატავთ დიდ მადლიერებას თქვენი ყურადღების გამო, რასაც ვადასტურებთ ქვემოთ ხელის მოწერით:

ბასარია ოთარი, ძოგულია ზაური, სალაშხანა ზაზა, ანთია ბელა, შონია იო, ჯახუა ნაიონი... სულ 76 ხელმოწერა. მითითებულია სოფლები და მუშაობის მდებარეობა, მისიონი, ხელმოწერა და მისიონი (სტილი დაცულია).



ხაჩნის მონასტერი (X-XI ს.)



ომოქვის ეკლესია (X ს.)

ქვითა ღაღაღი გაღმა ნაპირიდან

უკვე მერამდენე საუკუნეა, ქართულად ლოცვა არ აღუვლენიათ ოშკსა და პარხალში, შატბერდისა და ტაოს ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც ბედის უკუღმართობის გამო ან ნახევრად დაუნგრევიათ, ან მერჩეთად უქცევიათ. ჩვენ კი, ქართველებს (თუ არ ჩავთვლით ბოლო ათწლეულებს), მათი ხილვა ისტორიის წიგნებში თუ შეგვეძლო. ნელ-ნელა იკარგებოდა კვალი ქართველთა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. ელოდა ქართველ მრევლს ათეულ საუკუნეებამოვლილი ქართველთა სულიერი სავანე-დრო შეიცვალა.

მტერთაგან ოდესღაც მიტაცებულს ველარ დაიბრუნებ, მაგრამ იქ ჩასვლის ნება მოგვცა, შეგვიძლია, ჩვენი თვალთ ვიხილოთ არქიტექტურული საოცრება ქართული ხუროთმოძღვრებისა. მიმტაცებელ-დამპატრონებელმაც ჭკუა იხმარა სათავისოდ — ტურის-ტაო მოზიდვის მიზნით „რესტავრაციებს“ უტარებს ქართული კულტურის საგანძურს, მაგრამ ბედნიერება, თუ ამას ბედნიერება ჰქვია, ის არის, რომ სხვა აღმსარებლობისა გამო თავისად, თავისი ისტორიის ნაწილად ვერასოდეს შერაცხავს მას, რამდენი მინარეთიც არ უნდა მიუშენოს. ჩვენთვის ლოცულობენ მიტოვებული, დაბზარული ეკლესია-მონასტრები. თითქოს ეს არ გვეყოფოდა და...

უძველეს ქართულ მინაზე ახლა იგივე ბედი სწვევია ქართულ ეკლესია-მონასტრებს აფხაზეთში. განსხვავება ტაო-კლარჯეთის სავანეებთან შედარებით ის არის, რომ ერთმორწმუნენი თავიანთი ნება-სურვილითა და ვანდალური ალტყინებით ათეთრებენ ქართულ წარწერებსა და ფრესკებს, ცვლიან გუმბათებს და გულმოდგინებით შლიან ქართულ კვალს. დიახ, აფხაზეთის ქართული მოსახლეობისაგან დროებითმა დაცლამ ამ ტერიტორიაზე ქართული სულიერების ერთ-ერთი მთავარი შენაკადის — აფხაზეთის კულტურული და ისტორიული ფასეულობების ხელყოფა გამოიწვია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული კვალის წასაშლელად მიზანმიმართულად განადგურდა ან ნადგურდება მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები — უმთავრესად ადრინდელი შუა საუკუნეების დიდი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების, მათ შორის, უნიკალური, ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების ქრისტიანული ეკლესიები, ხუროთმოძღვრების ანსამბლები, კედლის მხატვრობის უიშვიათესი ნიმუშები და ისტორიული ინფორმაციის შემცველი ქართული ეპიგრაფიული ძეგლები. მსოფლიო საზოგადოებამ უნდა შეძლოს ამ ვანდალიზმის დანახვა, გაცნობიერება და საქართველოსთან ერთად მისი დროზე შეჩერება.

ყველას მოეხსენება, თუ რა სახის რესტავრაცია ჩაუტარდა რუსი რესტავრატორების მიერ ერთ-ერთ უნიკალურ ტაძარს — ილორის წმ.გიორგის ეკლესიას,

რომელიც XI საუკუნეშია აგებული. 2009 წლიდან მოხდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის აქტიური ჩარევით ვითომდა რესტავრაცია, სინამდვილეში კი ამ უძველესი ძეგლის-მოდერნიზაცია. ტაძრის გუმბათს შეუცვალეს ფორმა და რუსეთში მიღებული ე.წ. „ახალბიზანტიური სტილის“ საეკლესიო არქიტექტურის გავლენით მუზარადის სახე მისცეს. ხუთ ქართულ-ლაპიდარულწარწერიანი ფილები ბათქაშით დაფარეს. თეთრად გადაღებეს ეკლესიის ფასადი და სამრეკლო. ნითლად შეიღება სარკმლების დეკორატიული არშიები. ამის შესახებ რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“. აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ ეკლესია აფხაზეთის საეკლესიო ადმინისტრაციამ მიიტაცა.

სავალალო მდგომარეობაშია დრანდის უძველესი (VIII)ტაძარი, ბზიფის ციხის ეკლესია (IV ს.), ავარიულ მდგომარეობაშია თამარის ხიდი, ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობა მეთავე საუკუნისა მდინარე ბესლეთზე და მრავალი სხვა.

თითქოს იმედიც გაჩნდა. სულ რამდენიმე დღის წინათ გამოიცა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი, ოთხენოვანი ალბომი „ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“. პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორ-გამომცემელი გახლავთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის 2004-2008 წლების მოწვევის წევრი ბატონი ზურაბ ჯგუზურია. კონსულტანტები კი ბატონები დავით ლორთქიფანიძე — აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი და ჯემალ გამახარია — პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„ჩვენი მიზანია, მსოფლიო საზოგადოებრიობას ვუთხრაო, რომ აფხაზეთი საქართველოა, საქართველოს ძირძველი კუთხე, ქართველების სამკვიდრო, მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული მამული. შინ თუ გარეთ ყველას აფხსნათ, რომ აფხაზეთი ერთ-ერთი კუთხეა, აფხაზეთი კი — ამ კუთხის მკვიდრთ. და რომ ისტორიული აფხაზეთი ისეთივე კოლხები, ანუ ქართ-

ველები არიან, როგორ სვანები, კახელები, იმერლები, ქართველები, გურულები და სხვა.“ — ასე იწყება ამ მეტად საჭირო და დროული წიგნის შესავალი.

აფხაზეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის აქ მოცემული ისტორია, იქ დატრიალებული ტრადიცია უცხოელ მკითხველსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო მეტ ინფორმაციას მიანიჭებს, ვიდრე ათასობით არაფრისმთქმელი დადგენილებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნი-ალბომი ოთხენოვანია (ქართული, რუსული,

ინგლისური, ფრანგული). ალბომში აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე 25 უძველესი ქართული ტაძარია წარმოდგენილი, თავისი ისტორიითა და დღევანდელი სავალალო მდგომარეობის აღწერით, შესაბამისი ილუსტრაციებით. აქვეა გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისადმი აფხაზეთში კულტურული და ისტორიული ფასეულობების მდგომარეობის შესახებ.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული ეკლესია-მონასტრებისა და მათში დაცული საგანძურის ფერადი ფოტოებით, ცალკე ნაკვეთადაა გამოყოფილი ცნობილ მხატვართა ტილოების ფოტორეპროდუქციები საერთო სათაურით — „აფხაზეთი თანამედროვე მხატვრობაში“, უნიკალურ ფოტომასალას მოიცავს ერთ-ერთი ნაკვეთი „ისტორიულ-კულტურული ფასეულობანი თანამედროვე აფხაზეთში — ფაქტები და შეფასებები“. „საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია საქართველოს პარლამენტის სახელით მიმართავს გაეროს, ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, სმა აიმაღლონ აფხაზეთში მიმდინარე კულტურული გენოციდის წინააღმდეგ და ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების გადარჩენის მიზნით, ხელი შეუწყონ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში შესაბამისი კვალიფიციური მონიტორინგის ჩატარებას, აუცილებელი დონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას“, — ნათქვამია მიმართვაში.

მართლაც ყურადსაღებია მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის ეს მიმართვა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერი კეთდება ქართული კვალის აღმოსაფხვრელად აფხაზეთის ტერიტორიაზე. შეგნებულად ნადგურდება უძველესი ისტორიული ძეგლები. ვიმედოვნებთ ამ უნიკალური წიგნის ალბომის გამოცემის შემდეგ ჩვენი სატკივარი არ დარჩება „ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

გამოქა ვაშაქიძე.



ლიხნას (ლიხნის) ეკლესიის (X-XIII სს) ფრესკები



თამარის ხიდი მდ.ბასლეთზე (X ს.)

ჭაღრაკი



სტურუა ევროპის ჩემპიონია!

სენიორთა შორის 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონი ზურაბ სტურუა (2536) ამჯერად ევროპის პირველობის გამარჯვებული გახდა.

ოქროს მედალი არავის დაუთმო ბელგიელმა იან როოზემ (2281), რომელმაც ასევე 7.5 ქულა მოაგროვა და ბელარუს ვიქტორ კუპრეიჩიკს (2373) და მატეიტო მარჩენებლებით აჯობა.

კობა კობახიძე

ფეხბურთი

კაპიტანი სამოგლოს უახლოვდება

როცა ევროპის ლიგის ნახევარფინალისტა კენჭისყრა მოეწყო, დნებროპეტროვსკის „დნიპროს“ ზოგ-ზოგიერთებმა იმთავითვე გამოუყვანეს წირვა — აქაოდა, „ნაპოლი“ ამ წველში გამოკვეთილი ფავორიტიაო. როგორც ხშირად ხდებ-

ერთი შეხედვით მყარი არგუმენტების გათვალისწინებით გამოთქმულ პროგნოზებს. ასე მოხდა ამჯერადაც.



ბა ხოლმე, არც მთლად მასე ყოფილა საქმე. კი ბატონო, სად იტალიის „სერია-ა“-ს და სად უკრაინის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელთა კლასი და საშუალოდ მოსახლეობის მატარებელი, მაგრამ არის რაღაც, რაც ხანდახან თავდაყირა აყენებს

მასპინძელთა ჩანადებულ 14(!) კუთხურს საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის კლუბმა ერთადერთი უპასუხა, მაგრამ ეს მხოლოდ სტატისტიკაა. მიუხედავად შესამჩნევი უპირატესობისა, მარადონას საქმის გამგრძელებლმა მინიმალური ანგარიშითაც

კი ვერ გაიმარჯვეს, რაც ნორვეგიელი მსაჯის მოენისა და მისი ასისტენტის უხეში შეცდომის შედეგია, რომლებმაც სტურუმებს თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალეს. და აი, აქ მივდივართ ლოგიკურ მოსაზრებამდე — როცა მეტოქეს მრავალკომპონენტში აღემატები, ბრძოლის ბედი 81-ე წუთამდე უნდა განწყვიტო და არბიტრის თუნდაც ერთმა „იალიშმა“ წყალში არ უნდა ჩაგყაროს მონაგარი.

ასე რომ, „ჯვაროსანთა“ კაპიტნის თბილისში ჩამოსვლისა და 11 აგვისტოს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო-არენაზე“ ევროპის სუპერთასზე თამაშის შანსი საგრძნობლად გაიზარდა.

„სევილია“ — „ფიორენტინა“ 3:0 (1:0) გოლები: ვიდალი (2), გამეირო. დაგვეთანხმებით, ამ შეხვედრის შედეგი დიდი ალბათობით გვკარნახობს ორრაუნდიან დუელში უძლიერესის ვინაობას და თუ საპატიო პრიზის მოქმედმა მფლობელმა ტიტული შეინარჩუნა, იგი აღნიშნული ტურნირის ყველაზე ტიტულოვანი მონაწილე გახდება — აქამდე ოთხჯერ არავის უტრიუმფია.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

კაბრიობი ჩხი ასული

ჩხიბის ცასავით კრიალა და ჩხური ლუდით მოლივლივე ლამაზმანი, ცნობილი ჩხი მოდელი პეტრა ნემცოვა მისი მშობლიური ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების თილისმადა აღიარებული და როდესაც ჩხეთის ნაკრებზე ეკითხებიან, ხშირად ისეთ კომპეტენტურ პასუხებს სცემს, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს პირს დააღებინებს.

ამას წინათ პეტრამ ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან ვრცლად ისაუბრა ჩხეთის ნაკრების დღევანდელ დღეზე და, უპირველესად, თანამემამულე ფეხბურთელებს პატრიოტიზმი დაუწუნა. პეტრას აზრით, ძველი თაობის ჩხეთის ნაკრების ფეხბურთელები ბევრად უფრო თავდადებულად ირჯებოდნენ მშობლიური ქვეყნის ნაკრებში, ვიდრე ახლანდელნი.

პეტრა ნემცოვა ბოლო დროს ძირითადად მოსკოვში მოღვაწეობს და იქაური ბომონდის აქტიური წევრია. მას ხშირად ნახავთ მოსკოვის ლამის კლუბებში და სხვა გასართობ დაწესებულებებში, მაგრამ როდესაც ჩხეთის ნაკრები თამაშობს, პეტრას აუცილებლად უკვე დაჯავშნილი აქვს თვითმფრინავის ბილეთი და ჩხი მობურთალების გვერდით დასაადგომად მიფრინავს. ერთი ასეთი ქომაგი არც ჩვენ ნაკრებს აწყენდა...

როსტომ რაჭველიშვილი



რაზი

დიდ ფინალს ირლანდიელი ჩაუარა ბანსჯის

სამართმელოს XXV სარაგბო ჩემპიონატი დღეს მესხზე სრულდება დიდი ფინალით, რომელშიც ბოლო ორი წლის გამარჯვებული „ლელო სარასენი“ ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბს, „ლოკომოტივს“ ვრცინება.

თამაში 16 საათზე დაიწყო. ბოლო ხანს დამკვიდრებული ტრადიციით, საშინაო სეზონის მთავარ მატჩს ირლანდიელი სტუმარი განსჯის. ფინალზე ბილეთი არ გაიყიდება — სტადიონზე შესვლა თავისუფალია. რვენას ახალი სპორტული არხი — თი-ვი-ეს — ცოცხლად გადასცემს.

გულშემატკივარი იხილავს მოქმედ, ყოფილსა და მომავალ ბორჯღალოსნებს.



„ლელოს“ განაცხადში ჰყავს ირაკლი ყიასაშვილი, სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, გიორგი კაჭარავა, გიორგი სანიკიძე, შოთა მელიქიძე, ზვიად მაისურაძე და ოთარ ბარკალია, ხოლო „ლოკომოტივს“ — ბექა ნიკლაური, ზურაბ ძნელაძე, გიორგი შკინინი, გივი ბერიშვილი, ბექა ბინაძე, დავით გასვიანი და დავით ჟამბუტაშვილი.

წლის დამაგვირგვინებელ ბრძოლამდე ერთი დღით ადრე, გუშინ „ლელო სარასენისა“ და „ლოკომოტივის“ მწვრთნელებმა და კაპიტნებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ვიტალი ჯაფარიძე

ავტოსპორტი

ფეტილი: ბარსელონას რბოლა სატიტულო ბრძოლაში გადაწყვეტი

სიბასტინან ფეტელი ამბობს, რომ ესპანეთის დიდ პრიზზე გაირკვევა, შეძლებს თუ არა „ფერარი“ ზაფხულის არდადეგებამდე ტიტულისთვის ბრძოლის გაგრძელებას. ტრადიციისამებრ, ევროპული ეტაპებიდან მოყოლებული, გუნდები უფრო ინტენსიურად აახლებენ საკუთარ სარბოლო ავტომობილებს და, შესაბამისად, მათი კონკურენტუნარიანობაც უმჯობესდება.

ჯერჯერობით „მერსედესის“ მდევრებს შორის ყველაზე უკეთ „ფერარი“ გამოიყურება, რომელიც ყოველ რბოლაში კვარცხლბეკზეა, ერთი რბოლაც მოიგო და რაც მთავარია, სამქიმიანებს უკვე კონკურენციასაც უწევს.

თუმცა, ჯერჯერობით ტიტულზე ფიქრი არარეალურად მოჩანს, რადგან მათ შორის სხვაობა უკვე 52 ქულაა. და მაინც, ფეტელი თვლის, რომ კატალონია შეიძლება ახალ დასაწყისად გადაიქცეს.

„ვენასო, რა მოხდება ბარსელონაში. ისტორიულად, აქ ყველას სიახლეები აქვს. ჩვენც სხვებივით ვართ და იმედი მაქვს, სხვებზე მეტად გავაუმჯობესებთ მანქანას, რაც უკეთესი დროის ჩვენებაში და ჩვენს წინ მყოფი ბიჭების, „მერსედესის“ დანევაში დაგვეხმარება. თუ წინ წავიწევთ, მაშინ ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მომდევნო რბოლებშიც ასე იქნება“, — ამბობს ფეტელი.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ფიქრობს, რომ ბარსელონაში ზამთრის ტესტების დროს გამოვ-

ლენილი სისწრაფე და მასზე დამატებული სიახლეები „ფერარის“ მორიგი ნინსვლის რეალურ შანსს აძლევს.

„ყველაზე მეტად ის გვჭირდება, რომ ნებისმიერ სიტუაციაში სწრაფები ვიყოთ. ახლა ჩვენი მთავარი მიზანი სწორედ ესაა. ჩვენ ყველამ ეს ტრეკი ძალიან კარგად ვიცით. ტესტების დროს მანქანა აქ ძალიან კარგად მუშაობდა და ჩვენ კმაყოფილები ვიყავით.“

მაგრამ ამჯერად აქ სულ სხვა ამინდებია — დაახლოებით 15-20 გრადუსით მეტი ტემპერატურაა. ამას კი ბევრი რამის შეუძლია. მეორე მხრივ, პირველ ოთხ რბოლაში ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ და ამას სწორედ აქ გამოვიყენებთ“, — დასძენს ფეტელი, ვინც მაღალიზიაში, სიცხეში გამართულ რბოლაში გაიმარჯვა.

სხვათა შორის, „მერსედესის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკი ლაუდამ განაცხადა, რომ მათ „ფერარი“ „მერსედესს“ კიდევ უფრო მიუახლოვდება. ამაზე ფეტელი ლიბილთ რეაგირებს: „ჯერ ერთი, ნიკი შეიძლება ბევრი რამ თქვას და იმედი მაქვს, რომ მისი ნათქვამი გამართლდება. არადა, სულ რაღაც სამი თვის წინაც აქ ვიყავით და სულ სხვა სიტუაციაში ვლაპარაკობდით. მაგრამ მას შემდეგ რაც მოხდა, ეს ძალიან პოზიტიურია და თუ ამ ტრენდს შევინარჩუნებთ, ეს ძალიან კარგი იქნება.“

მანუჩარ გიორგაძე

სულიერება

აღდგომიდან მე-5 სამარიტელის კვირიაკე



შენში საუკუნო სიცოცხლისკენ მიმდინარე წყაროდ იქცევა... სამარიელი ქალი მიმართავს უფალს, ალბათ შენ წინასწარმეტყველი ხარ, რადგან გამოიცანი. უკვე 5 ქმარი მყავდა, ახლა ვინც მყავს, ჩემი ქმარი არ არისო, ჩვენ თავყვანსცემდით ამ მთაზე, მაგრამ ქრისტე, როცა მოვა, ის გვაუწყებს ყველაფერსო.

10 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია აღდგომიდან მე-5 სამარიტელის კვირას იხსენიებს. დღესვეა ხსენება მოციქული სვიმეონისა, რომელიც ნათესავი იყო უფალ იესო ქრისტესი.

იესო ქრისტე გალილეაში მიდიოდა, გზად უნდა გაეგლო სამარიაზე, იქვე იყო წყარო, სადაც ჩამოჯდა და სამარიელ ქალს უთხრა: „წყალი დამალევი“. სამარიელმა ქალმა უთხრა: „როგორ, შენ, იუდეველი, წყალსა მთხოვ მე, სამარიელ ქალს?“


კროსვორდი

A crossword puzzle grid with a portrait of a man on the right. The grid contains various words related to the crossword theme, with some cells shaded. The portrait is of a man with a mustache, looking slightly to the right.

Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკაში' (in Georgia) with contact information: 293-37-87; 568 82-09-84..

Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკაში' (in Georgia) with contact information: 293-37-87; 568 82-09-84..

Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკაში' (in Georgia) with contact information: 293-37-87; 568 82-09-84..



A large advertisement block containing contact information, a barcode, and various details for the publication 'საქართველოს რესპუბლიკაში'.